# საქართველოს გაზეთი

## აპრილის დ დღესა ჩყით წელსა თფილისში.

## Но. 5.

### სანკტპეტერბურღს

უმაღლესნი ბრძანებანი

ფებერვლის თ. რიცხვისა

გარდმოიყვანებიან:

კურინის ქვეითის ჯარის პოლკის კაპიტანი ლუკინი მეორე, და ბოროდინის ქვეითის ჯარის პოლკის პოდპორუჩიკი მალეევი, გეორგიევსკის შინაგანის გარნიზონის ბატალიონში.

ფებერვლის ია. რიცხვისა: ყაზანის ქვეითის ჯარის პოლკის პოდპორუჩიკი სილიკინი მოზდოკის გარნიზონის ბატალიონში; ამ ბატალიონის მაიორი ქალდკო პოლტავის შინაგანის მცველის ბატალიონში.

უწმიდესის მმართებელის სინოდის საქართველო საიმერეთოს კანტორის წევრნს არხიმანდრიტს [illegible] ყოვლადუმოწყალესად ჰბოძებიეს უფლისაიდი ჯვარი მკერდსის თვლებით მოჭედილი.

გამოცხადებანი.

საქართველოს უპირატეს მმართებელმა უფალმა ინფანტერიის გენერალმა ალექსი პეტროვიჩმა ერმოლოვმა რომ დააყენოს თათართ დისტანციების მცხოვრებთ მიუთმენელი კეთილ-დამყარებულის მმართებლობისაგან ჩვეულება ყარა და გარდასახლება ერთის ადგილიდამ მეორეს ადგილში, რომელსაცა იქმენ ამ მიზეზისათვს, რომ გამოსადეგი თავიდამ ბაცალონ, [illegible]მ დასცვრეს მათი დაგა მამულებსა და მიწებზედ, რომელთაც თავისად ითხოვენ უწინდელსავით სამფლობელოდ ამ გვარად წასულნი და კიდევ დაბრუნებულნი, საჭიროდ დაინახა შემდგომის კანონის დადება: ვინც მცხოვრებთაგანი სამღვარგარეთ წავა, ან გარდასახლდება იმ სახანოებში, რომელნიც რუსეთის ქვეშე არიან, და ან საქართველოს სხვას ადგილებში, იმათი დატევებული მამული უმეტესობით უნდა დაეყოსთ ადგილობრივ დარჩომილთ იმ სოფლების მცხოვრებთ საიდამაც გაქცეულან, და თუ მთლად სოფელი წავიდეს, მაშინ დაეყოსთ მამული მეზობელთ სოფლების მცხოვრებთ, მაგრამ ასე, რომ სწორედ შეიტყონ იმათი მამულის ნაკლებობა, და თუ მათ არ ეჭიროებოდესთ, მაშინ მიეცემოდესთ შორს მყოფთ მცხოვრებთაცა, რომელთაც უფრო საჭიროება ჰქონდესთ მამულისა, მაგრამ თვით იმავე დისტანციის სახლს, და არა ერთის დისტანციიდამ მეორეს დისტანციაში უმიზეზოდ და საქმის გაუჭირებლად მოსიარულეთ, ამის შემდგომად ვინაც ამ გვარად მიეცემა მიწა, იმას აქვს ნება, რომ ჰქონდეს და ეჭიროს დაუბრკოლებელად უფლებათ, და არარც მიეცემათ უწინდელს პატრონებს, თუ უნდა კიდეც უკანვე დაბრუნდენ.

უცხო ქვეყნის ამბავნი

გერმანიისა.

ვენითგან ფებერვლის ვ. ავგუსტის სატახტო ქალაქში მოვიდა სპარსეთის ელჩი ლონდონის ელჩად მიმავალი მირზა აბულ ასანხანი და დადგა ვიდენის სასახლეში, რომელსაც ეწოდება იმპე-

რატორის ტრაქტირი, ამისი მოსვლა შეადგენს აქ ყოველდღე საზოგადოთ ლაპარაკი საქმეს, მან მოიტანა წერილი სპარსეთის ყაენისაგან ჩვენს იმპერატორთან, და რომელს დღეს უნდა საჩინოდ ინახვინოს იგი თავადმა მეტერნიხმა, ჯერეთ აქამომდე არ არის დანიშნული, იგი მეორე მიდის ლონდონს ელჩად, და ამ ჟამად როგორც ისმის ჰქონან მას საკუთარნი დარწმუნებანი.—

უმაღლესი პარლამენტა გამოცემული მხედრობათადმი იპყრობების დიდს სახსოვართა სიტყუათა ამათ შინა თქვენ ხართ რუსნი, თქვენ ხართ ქრისტიანენი, სპარსი არასა, ამა სახელთა თანა მოგაგონოთ თქვენ, რომელ თანამდებობა მხედრისა არს, რათა იყოს მხნე ბრძოლათა შინა და მშვიდი ჟამსა სლვისა და ყოფნისასა დაზავებულთა ქვეყანათა შინა? მე არა გექადი თქვენ დახჯათა, ვინაიდგან ვუწყი, რომელ თქვენგანი არცა ერთი შეაგინდეს მათ ქვეშე თავსა თჳსსა, თქვენ ხედვიდით ქვეყანასა შინა ჩვენსა მტაცებელთა, რომელნიცა განჰკრეხდენ სახლთა არა მართლმადიდებელთა მცხოვრებთათა, თქვენ სამართლად აღმრუილიყვენით მათ ზედა რისხვითა, და დასაჯეთცა ბოროტ-მოქმედნი, ვინ უკვე იწადებს მისგავსებასა მათსა უკეთუ ვინმე თჳნიერ მოლოდებისა მოვნილ იქმნების ესრეთ, იგი ნუ იქმნების რუსი, და აღიხოცოს იგი თქვენ შორის, მხედარნო: ამის მოითხოვენ და მოელიან თქვენგან თქვენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება თქვენი სამშობლო მამული და მეფე თქვენი.

წელიწდის შემდგომად მეფემან რუსეთისამან ყოვლითა სიმართლითა ჰსთქვა, რომელ რუსთათჳს უსასტიკესი უბედურება არს იგი, უკეთუ უწოდებენ მათ არა რუსად, ვინაიდგან ყოველნი ევროპიის სამეფობელთანი იგ. წელსა შეჰკრებულიყვნენ საჭურველითა ფრანცუზისათა, ამად შეიჭურვოდენ იგინი; ყოველნი მოლაშქრობანი მათნი განქარდებოდენ. აღსდგა რუსეთი თავისა თჳსისა და იმპერიისათჳს, და საზოგადო მტერი დაეცა. სამსა თვესა რუსთა მიჰყვანდათ მტერნი მოსკოვს წარწყმედისათჳს მათისა, და სამსა თვესა რუსთა აღხოცეს რა უდიდესი ნაწილი ნაპოლეონის ჯარებისა შერცხვენით განსდევნეს დანაშთომი მათი გარეგან სამღვართა მამულისა თჳსისათა, ხოლო რამთან მოუხსოვა მეთა რუსეთისათა მალი ესე უძლეველი? სარწმუნოებამან და სიყვარულმან მამულისადმი. ქვრივთვე უწინარეს ორის ასწლობისა ჩუიმ, წლადმდე წინაპართა ჩვენთა მიიღე მალითა გამოუხსნიათ და დაუცავსთ რუსეთი. ჟამსა ამათ თქლით სახილველთა, ჟამსა ამათ სადღესასწაულოთა მოწმობათასა ვიქმნებითცა იძულებულ შემდგომლობასა შინა სარწმუნოებისა და კეთილის მოქმედებათა მამულისათა. მხოლოდ ოდენ მათ ექმნებიან მას შინა ეჭვი, რომელნიცა არა არიან რუსნი, მხოლოდ ოდენ არა რუსნი იწადებენ ყოვლისა მის აღსრულებასა, რაჲცა შეადგენდა ცხოვრებასა, სიმხნესა და ყოფასა რუსეთისასა.

მპყრობელთა რუსეთისათა მიაქვნდათ გამოხსნა ევროპისა, ხოლო მოხუცებულამ გამოსრულნი, რომელნიცა განზნებულ იყვნენ ერცელთა შინა სამფლობელთა მამულისა ჩვენისათა, შეჰკრებოდენ აქლსა ზედა პირველ სასადროსა ქალაქისასა.

სმოლენსკსა, კალუგასა და ყოველთა ადგილთა შინა, სადაცა მიიყვანდენ ტყუეთა, განჩნდებოდიან სახიკვდინენი ხენნი. მავნებელი ქმნა დატყვევებულთა მტერთა ჩვენთა უმეტეს მავნებელ იყო საჭურველისა მათისა. ალი ცეცხლისა შემწველი ქალაქთა და სოფელთა, დამრტა და ველთა ზედა, სადაცა გრკვინვიდენ სისხლ მდერელობითნი ბრძოლანი, ტარუტინითგან ჰსატარას იაროსლავადმდე, ბოროდინითგან ნემანადმდე დაეწყვნენ დიდროანნი შეშის ხვავნი, რომელთა ზედაცა დაიწვებოდნენ ურიცხვნი მშორნი მსხვერპლთა ნაპოლეონის დიდების მოყვარებისათანი.

წარმჭუმედელმან განრყვნამან, შთამომბულმან სამეფოთა, ზნეთა და ერთამან, განრყვნამან ამან აწარმოვა ევროპასა შინა ბრძოლა, რომელიცა აღხოცვილა ერთა ოც და ათწლამდე. ხშირად იჩვენებულებენ დასჯათათვს რომელნიცა ჯერ არიან, რათა ეწიენენ შეილთა უბედურებისათა შემდგომად ხოველისა, გარნა ეხედველით რა მძოვრთა კაცთათა, რომელნიცა განფენილ იყვნენ თოვლიანთა ველთა შინა რუსეთისათა ნარითგან ნემანამდე, ეხედველით რა მოუხმენელთა უბადრუკებათა, რომელნიცა ეწიენენ ურიცხვთა მხედრობათ შეკრებილებათა განცოფებულისა ნაპოლეონისათა, არა მალევიმს იჩვენებულებად, რომელ ქვეყანასა ზედა არს დასჯა, დამხჯელი ბოროტის-მოქმედთა; მტერნი ჩვენნი ამაღლდენ, განდიდნენ და ეითარცა კვამლი განქარდენ.

ხმოვადობსა სარგებლობისათვს თბილისის მცხოვრებთაჲსა ამ წლის დაწყებასა შინა საქართველოს დუბერნატორის უფლის ღენერალ-მაიორის და კავალერის ხოვენისაგან მიწერილარს ბრძანება თბილისის პოლიცმეისტერისადმი შემდგომისა ჰაზრისა.

გავსინჯერა ჩემთან თქვენის თანდასწრებით მდგომარენი საშუალ ქალაქისა შენობანი, რომელნიცა აწარმოებენ არა თუ ოდენ სიმყრალესა და უწმინდურობასა, არამედ ხავნებულარიან იგინი სიმრთელისაცა მცხოვრებთასა, მოუწერ თქვენს მაღალ-კეთილშობილებას აღასრულოთ ქვემორე შემდგომი.

ა. სამღებრონი, რომელნიცა არიან სამნი მეელს ზარაფხანასთან და ორი ქურქჩებში, არათუ ახდენენ ჰაერსა დამპალის სუნითა, არამედ აბილწებენცა წყალსა გალებითა შეღებულთა საქონელთა და გარეცხვითა ჭურჭელთასა დაცვისათვს სიწმიდისა ეითარცა ჰაერისა, ეგრეთვე წყლისაცა გატანილიქმნენ ქალაქს გარეთ, და პატრონთ მიეცეთ ნება, რომ თუთ მათ თქვენისთან დასწრებით აღირჩიონ ამისთვს სამღებრონი ადგილნი და ჰაემანი ამის აღსრულებისათვს დაინიშნების თხუთმეტს ამ წლის მარტამდე.

ბ. დაბახანები მიწურს სახლებში და დუქნებში დაალაგებულნი თვით ქუჩაზე ავანოს სიბს გადმა, სადაცა აკეთებენ და ღებვენ ტყავებს, ავნებენ ჰაერსა ხმარებულისა მას ზედა წამლების სუნითა, რომ არა მოაკლდეს ამათ ქარხანათა სარგებლობა სიახლოვისა მინერალის თბილ წყალთასა შეიძლება გადატანა არა უშორეს ამა წყალთაგან მტკვრის ნაპირთან, და მიეცესთ თუთ მათ ნება თქვენის დასწრებით ადგილების გამოარჩევისა იქ, სადაცა არ არის სადგომი სახლები, ჰაემანი მათცა დაენიშნოსთ ეგრეთვე მარტის თხუთმეტამდე.

გ. ხავნის სარშვა დედაკაცთ აბანოში აწყენს ეითარცა აბანოში მოსიარულეთა, ეგრეთვე მეზობელთაცა თავისის შემაყენებულის სუნითა გარდატანილიქმნეს მოშორებით მდინარის მტკვრის პირზედ და მიეცეს თუთ პატრონს ნება სამყოფნარის ადგილის გამორჩევისა თხუთმეტს მარტამდე.

დ. ყასაბხანის დუქნები მახლობლად ავლაბრის ხიდისა დაშთნენ იქვე, ფიცხლად უნდა ებრძანოსთ რომ დუქნებთან ხალხს არა დახოცდენ და გააკეთონ ყასაბხანაში გადატანილ ქუჩაზე მაღალი კარები უთუოდ თხუთმეტს მარტამდე, საქონლის ხოცვა დაენიშნოსთ მტკვრის პირთან გაკეთებულს წადარებულს ადგილზედ, საშუაყასათ დუქნებისა რომ არის ადგილი, იქ შენობის გაკეთების ნება არა მიეცესთ, და ვინც მოისურვებს მოს ქალაქს გარეთ მიეცესთ ადგილი. საზოგადოდ გქონდესთ მხედველობა რომ ყასაბხანა სუფთად იყოს შენახული და პატრონებსაც პირობა გამო

ერთვასთ გააკეთებდენ იმ დუქნებს, რომელთაც დაქცევის შიში არის.

ე. სახაშეები სადაც საჭმელი იხარშება გალეულსა და დაუფარავს დუქნებში, რომლითაცა დგება ქუჩებში უსიამოვნო სუნი და კვამლი და შინ მასვე ადგილებზე და ჰყრიან გამოერთვასთ პატრონებს, რომ გაუკეთონ სამკურნალო კერა ანუ მუსარი მაღლად ატანილის თავებითა თუ მარტის თხუთმეტამდე მათ ეს ასე არ გააკეთეს, მაშინ ისინიც მოიშალნენ.

ვ. მეთევზეების დუქნები, რომელთაცა შინა არა თუ ჰყიდიან თევზსა, არამედ სარშევენცა მას, აყრცელებს ქუჩებში დიდად უსიამოვნოს და სიმყრალის მავნებელს სუნს, გარდიტანნენ ერთს მხარეზე დიდრონის ქუჩებიდამ მოშორებით გაშლილსა და გახსნილს ადგილზედ, და არა მიეცესთ ნება გასყიდვისა და არცა წარშვისა მათისა ვიწროს ქუჩებში, ეგრეთვე აუცილებელად საჭირო არს სხვას ადგილზედ გადატანა სომეხთ ბაზრისა.

ზ. ადგილსა სუმბათოვის სახლიდამ ბებუთოვების ქარვასლამდის, სადაცა გროვდება და დგება წყალი, რომელიცა აწარმოებს დამპალს ჰაერს, საჭირო არს მიეცეს მდინარეობა მტკვრისაკენ, რომელიცა მცირეს სივრცელისა გამო ადგილისა მეტად არ დაუჯდებათ, ამისთვს გამოეცხადოს უფალს სუმბათოვს და ბებუთოვებს და მე მეუწყის განხილვისა და გასინჯვისათვს ერთბამ ადგურის საინჟინერო მთავრობისათანა, თუ საჭირო იქმნება.

ჱ. ქარვასლებში უმჯობესის და უსარგებლოესის დაყენებისათვს მომსვლელთასა პატრონებს შეკრულების წერილი გამოერთვასთ, რომ ეზონი მოკირწყლონ ქვით, და დაგრიგებული ნესვსა და ნაგავს უთუოდ გაიტანდენ ეგრეთვე ფიკსელად მოეკითხოდესთ, რომელ თვითოეულის მომსვლელისათვის შეატყობინებდნენ პოლიციასა. საჭიროთა ადგილთა გააკეთონ კარები. საერთოდ პოლიციას ჰქონდეს არასუსტი მეთვალყურეობა დაცვასა ზედა ქარვასლებში სიწმიდისა და სუფთაობისასა.

თ. სამჭედლოები საშუალ ქალაქისა დიდრონსა და ვიწროს ქუჩებზე აშენებულნი, რომელთაგანცა ხვდებათ ნაჭერწკლები გამვლელთ გამომვლელთა და მალულით წვენა მათი, ანუ გატანილ იქმნენ ქალაქს გარეთ, ან მივარდნილს მხარეებზე, და რომელნიცა მდგომარეობენ დიდრონის ქუჩებიდამ კუთხეზე მალულად მათ და მთვრე ახლონდელსავე ადგილებზე, ვიდრემდის ქალაქს გარეთ გაკეთდებოდეს სამჭედლო ამისთვის ადგილები.

ი. რადგანაც ქალაქის მცხოვრებნი სასმელად და საჭმლის სახარშავად, საერთოდ ხმარობენ მტკვრის წყალს, ამისთვის უნდა დაიცვალონ მათ წყლის ღება იმ ადგილებში, სადაცა რაოდენსამე ზევით ჰყრიან მრავალს გვარს ნაგავს.

დასასრულ თქვენს მზრუნველობას მოვანდობ რათა ყოველსა შინა შემთხვევასა ეცადოთ როდესაც ვიწროსა და მრუდს ქუჩებში მოინდომებდენ მცხოვრებნი თვისის სახლების ახლად შენობასა, მაშინ შეკრულ ჰყოთ მათ, რომელ ჟამსა აღშენებისასა ქუჩებს მისცემდენ სასწორივ მდგომარეობასა და გააგანიერებდნენ მათ.

ჰრწმუნებულ ვარ, რომელ გადატანა სამღებროებისა, დაბახანებისა და სხვათა არა მცირედ არ მოშლის პატრონებსა მათსა, ამისთვის რომ შენობანი ესე გაკეთებულ არიან თითქმის ყოველნი მიწურს სახლებში და ქოხებში, რომელთაცა ადვილად მალულად სადგომ სახლებლად გაკეთება. იმედი მაქვს, რომ თვით მცხოვრებნიცა ამაზედ ადვილად თანხმა შეიქმნებიან მისედვითა მით რომ საზოგადო კეთილობამ ყოველთვს უნდა წინაუსწროს კერძოობითთა სარგებლობათა.